# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება № 1-602

" 14 მარტი 2017წ.

„ქ. თბილისში, გულუას ქ. №22-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე ბიზნეს-ცენტრის მშენებლობისათვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“ ქ. თბილისის მერის 2008 წლის 8 სექტემბრის №953 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე, 63-ე მუხლებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2017 წლის 23 თებერვლის №8 სხდომის ოქმის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქ. თბილისში, გულუას ქ. №22-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე ბიზნეს-ცენტრის მშენებლობისათვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“ ქ. თბილისის მერის 2008 წლის 8 სექტემბრის №953 განკარგულებაში და განკარგულების:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, გულუას ქუჩა №22-ში და მის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთებისთვის (საკადასტრო კოდები: №№01.18.05.001.026, 01.18.05.001.068) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“;

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, გულუას ქუჩა №22-ში და მის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №№01.18.05.001.026, 01.18.05.001.068), სასტუმროს განსათავსებლად, განაშენიანების კოეფიციენტის (კ1) და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ1=0,8, კ2=8,7.“;

გ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის მოსაკრებელი გადახდილ იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, $12^2$ მუხლისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-49 დადგენილების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაკრებელის გაცემისთვის გახსნილ ანგარიშზე (მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია. მიმღების ბანკი: სს „თიბისი ბანკი". TBCBGE22. ანგარიში: GE56TB7002533030100122.) 53 086.86 (ორმოცდაცამეტი ათას ოთხმოცდაექვსი ლარი და ოთხმოცდაექვსი თეთრი) ლარი.".

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ ქ. თბილისში, გულუას ქ. №22-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 26 მარტის №1663 ბრძანება.

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს საბჭოს რეკომენდაციები.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

5. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით ნარმანია